26.04.2023 წ.

საქმიანობის წლიური ანგარიში

„მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"-ს(ს.კ.204446867) 2022 წლის ანგარიშს:

შ.პ.ს. „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"-ბრენდული სახელით GTTV,იურ.მისამართი:ქ.თბილისი.ლერმონტოვისქ.#10;ფაქტ.მისამართი:ქ.თბილისი,კოსტავას ქ.#59;

კომპანია შ.პ.ს. „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"-GTTV, ფლობს კერძო მაუწყებლობის №გ-20-1/786 ლიცენზიას ,რომელიც ითვალისწინებს საერთო ტელემაუწყებლობას.
კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია **მალხაზ გულაშვილი** (პ/ნ 01026002603), დირექტორი - **კახა მასხარაშვილი** (პ/ნ 01017000702), ხოლო კომპანიის იურიდიული სახელწოდებაა შპს „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"

შპს „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი" (ს.კ.204446867) არ ფლობს:

1. მაუწყებლის სფეროში სხვა ლიცენზიას და ავტორიზაციას;
2. სხვა მაუწყებელში წილს ან აქციებს;
3. სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილს ან აქციების 5% ან მეტს.

ასევე შპს„მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი ბ-ნი მალხაზ გულაშვილი ფლობს:

1.მაუწყებლობის სფეროში:შ.პ.ს"ხარისხის არხი"(ს.კ. 404426215) ტელეკომპანია- 35% წილს.

2. შპს „რადიო ჯორჯიან თაიმსი"(ს.კ. 401993820)რადიომაუწყებელი-100% წილს
3. შ.პ.ს."მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზ"-ში(ს.კ.204446867) შემავალ:

- პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას;
- ელექტრონული სამენოვანი ინტერნეტ-გაზეთი www.geotimes.ge-100% წილს.

ტელეკომპანია „GTTV" მაუწყებლობს დღე-ღამის განმავლობაში 12 საათი,მთელ საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში.

შ.პ.ს. „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"- GTTV-ის „ ძირითადი დაფინანსების წყარო 2022 წლის განმავლობაში იყო სარეკლამო, სასპონსორო შემოსავალი(დეტალური ფინანსური ინფორმაცია მოცემულია აუდიტის დასკვნაში).

კომპანიის საქმიანობას წარმართავს მედიაჰოლდინგი ,,ჯორჯიან თაიმსი“-ს დირექტორი კახა მასხარაშვილი (პ/ნ 01017000702)როგორც ტელეკომპანიის არსებობის მანძილზე, ასევე საანგარიშო წელიწადში, მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში არცერთი საჩივარი არ შემოსულა.

ტელეკომპანია „GTTV“ პირდაპირი ეთერი გადის:აზერკოსმოსის,Silk TV-ის,Martv-ის,ახალი ქსელების,მაგთის,სუპერ ტვ.-ის,სტერეო პლიუსის და დიჯიტალ ტვ-ის ქსელებში.

ინტერნეტში მაუწყებლობს myvideo.ge-ს საშულებით.

ტელეკომპანია "ჯორჯიან თაიმსი" წარმოდგენილია ძლიერი სოციალური ქსელით. Facebook-ზე 3 000 000 უნიკალური მომხმარებელი ყავს.

არხი მაყურებელს მრავალფეროვანი ფორმატისა და შინაარსის გადაცემებს სთავაზობს,მათ შორის,საინფორმაციო,საზოგადოებრივ-პოლიტიკურ,ეკონომიკურ,ანალიტიკურ, საგანმანათლებლო, შემეცნებით და გასართობ კონტენტს.

ოპერატიული, სანდო, მრავალფეროვანი თემები ყოველდღე საინფორმაციო გამოშვებაში „სტრიმი“. საეთერო დრო:11:00,14:00,16:00,19:00 სთ. ივნისის ჩათვლით.

საინფორმაციო ანალიტიკური გადაცემა „ტელეგრამი“ 14:00, 17:00, 19:00 (2022 წლის ივნისიდან).

შუადღის,გასართობ-შერმეცნებით, გადაცემაში “ლაბორატორია“, წამყვანები ნუკა მარგველაშვილი და თაკო ცქვიტინიძე,პირდაპირი ჩართვების,სიუჟეტებისა და სტუმრების დახმარებით განიხილავენ აქტუალურ თემებს.ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი 12:30 საათი 2022 წლის ივნისიდან.

2022 წლის სექტემბრიდან რუსუდან ხვედელიძე და თაკო ცქვიტინიძე დილის გასართობ გადაცემაში „სელფი“ სტუმრებთან ერთად საუბრობენ სახალისო და აქტუალურ თემებზე.

ყოველ ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს,12:00 საათზე,ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს, ბიზნესის და ეკონომიკის სიახლეებს მოწვეულ სტუმრებთან და ექსპერტებთან ერთად ტელეკომპანია "ჯორჯიან თაიმსის" ეთერში გადაცემაში „კაპიტალი“ თათია დარასელია და სანდრო ვეფხვაძე განიხილავს.

ყოველ ოთხშაბათს,20:00 საათზე,გადაცემაში,“რეალური პოლიტიკა“,წამყვანი მალხაზ გულაშვილი,მაყურებელს ფართო დისკუსიის ფორმატში აცნობს საგარეო პოლიტიკის გამოწვევებსა და შიდა პოლიტიკურ პროცესებს. გადაცემის წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავს რას ფიქრობს ხალხი და რამდენად რეალურია პოლიტიკოსების შეფასებები.

ტელეკომპანია "ჯორჯიან თაიმსის" ეთერში ყოველ ორშაბათს ,სამშაბათს,ხუთშაბათს და პარასკევს,20:00 საათზე, ყველა აქტუალურ კითხვაზე მიიღებთ პასუხს. ცხელი ამბები, ცხარე დებატები, აქტუალური თემები და აქტიური ადამიანები ეკა სეხნიაშვილის საავტორო გადაცემაში - „დროული კითხვები“.

გადაცემა „ჩაი“-სტუმრებს,პოლიტიკოსებს და საზოგადოების ცნობილ სახეებს არაფორმალურ გარემოში უმასპინძლებს. მაკა რაზმაძე ყველასათვის ცნობილ ადამიანებს განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს. ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი,

პარასკევი 22:00 საათი, ხოლო 2022 წლის სექტემბრიდან კვირაში 3 გადაცემა ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს გადაინაცვლა.

რუსუდან ძნელაძის დოკუმენტური ფილმების ციკლს, „დაკარგული ცივილიზაციის ფრაგმენტები"-„ჯორჯიან თაიმსის" დოკუმენტური ფილმების სტუდია სპორტული გადაცემა „დამატებითი დრო" დავით ხვადაგიანთან ერთად ყოველ
ოთხშაბათს 18:10.

წარმოგიდგენთ დოკუმენტური ფილმების ციკლს,საქართველოს უძველესს ისტორიას გააცოცხლებს ყოველ კვირას 16:30 საათზე.

ტელეკომპანია „ჯორჯიან თაიმსის" დოკუმენტური ფილმების სტუდია,აგრეთვე გთავაზობთ ნიკა თოხაძის გადაცემათა ციკლს, „რჩეული". ჩვენ გაგაცნობთ ადამიანებს,რომლებმაც შექმნეს ეპოქა და ისტორიებს ,რომელიც მათი ხელით დაიწერა.ყოველ შაბათს 16:30 საათზე.

აღნიშვნის ღირსია გადაცემების მაღალრეიტინგული როლი,რომლებმაც მყარი აუდიტორია მოუპოვა ტელეკომპანიას და კიდევ უფრო გაზარდა არხის პოპულაროზა.

მირიან მირიანაშვილის პოლიტიკური გადაცემა ყოველ სამშაბათს 22:00

სამაუწყებლო ტელეკომპანია „ჯორჯიან თაიმსის" კონცეფცია ეფუძნება მედიასივრცეში ახალი სრულიად დაბალანსებული სატელევიზიო არხის შექმნას,მაყურებლისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

ტელევიზიის ვებ-გვერდია: www.gttv.ge

პატივისცემით

შ.პ.ს. „მედიაჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი"(ს.კ.204446867)

ბრენდული სახელით GTTV-ის

დირექტორი

კახა მასხარაშვილი

Kakha Maskharashvili 01017000702

Digitally signed by Kakha Maskharashvili
Date: 2023.04.24 17:17:14